

**ავტომობილის დიაგნოსტიკოსი 040768  
პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება ინჟინერიის მიმართულების ტრანსპორტის დარგს და მოიცავს ავტომობილის აგრეგატებისა და კვანძების წესიერული ტექნიკური მდგომარეობის აღდგენას, ავტომობილის კომპიუტერულ დიაგნოსტიკას და დაზიანების აღმოფხვრის სამუშაოების შესრულებას, რომლის შედეგად შესაძლებელია გაიზარდოს ავტომობილის ხანგამძლეობა და რემონტებს შორის გარბენები, ამალდეს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება, რაც საბოლოოდ ზრდის ავტომობილის ექსპლუატაციის რენტაბელობას.

**II. დასაქმების სფერო**

ავტომობილის დიაგნოსტიკოსი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა მარკისა და მოდელის ავტომობილის სერვისცენტრებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობას.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მეორე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესიული განათლება არის ორ საფეხურიანი და ხორციელდება პროფესიული განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე. თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცივმა პროფესიული დიპლომი.

ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის ავტომობილის აგებულება, მისი მექანიზმები და სისტემები. იცის გარკვეული კვანძებისა და დეტალების შეკეთება; დეტალების დახარისხებისა და წუნდების პროცესები; იარაღებისა და დამხმარე მოწყობილობების შერჩევა და გამოყენება. გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმება და მათი შეცვლა. შრომის უსაფრთხოების წესები. კვანძის აწყობა ტექნიკური პირობების სრული დაცვით.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.</p>	<p>გარკვეული დამოუკიდებლობით შეუძლია ავტომობილის დაშლილი აგრეგატებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად; აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების გამოყენება; უწყვეტობის გამოვლინება ვიზუალური დათვალიერებით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.</p>	<p>ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია ავტომშემკეთებელი ტექნიკის სათანადო ინფორმაციული ბაზის გამოყენება, სამუშაოს შესრულების ტექნიკური უზრუნველყოფა და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირება. შეუძლია ხელმძღვანელი მითითების გათვალისწინებით, ტექნიკური მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების განხორციელება, შეფერხებებისა და წინაღობების მიზეზების ანალიზი და სათანადო პროფილაქტიკური სამუშაოების წარმართვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია ავტომობილის ტექნიკური მომსახურების მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ავტომობილის დიაგნოსტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით; შეუძლია მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში. შეუძლია ელემენტარული კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით გაეცნოს სიახლეებს ავტომობილის ტექნიკური მომსახურების სფეროში, აითვისოს ახალი ტექნოლოგიები.</p>

ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომელსაც აკისრებს ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესია. უწყესივრობის აღმოფხვრისას ყურადღებით ასრულებს დავალებებს.
--------------	---	--

**ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესიის მესამე საფეხურის კლასიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	იცის ავტომობილის შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები, ავტომობილის ცალკეული აგრეგატებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები, ამავე დროს, ტექნიკური მომსახურების რეგლამენტირებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა; შრომის უსაფრთხოების წესები. იცის დეტალების ურთიერთშეცვლადობის პრინციპები; სხვადასხვა ფორმისა და მოდელის ავტომობილების კონსტრუქცია და მათი შეკეთების თავისებურებები. იცნობს სამუშაოს შესრულების ოპერაციულ სისტემას და მომსახურების რეჟიმს, შრომის ორგანიზაციას და სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობის პრინციპებს; იცის მეწარმეობისა და ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლები. იცნობს საბორტე დიაგნოსტიკის მეთოდებსა და ფორმებს, უწყესივრობის აღმოჩენის კომპიუტერულ პროგრამებს, დიაგნოსტიკურ ნიშნებს და პარამეტრების ნომენკლატურას მექანიზმებისა და კვანძების მიხედვით.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია ავტომობილის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მისი აგრეგატების, მექანიზმების, კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის დადგენა თანამედროვე საკონტროლო და სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებით; ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების უწყესივრობების გამოვლინება და აღმოფხვრა რეგულირებით ან დეტალების შეცვლის გზით; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გრაფიკის კორექტირება.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	აქვს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში, ტექნიკური მომსახურების პროცესში ამოიცნოს წამოქმნილი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის გზები; შეუძლია ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია, განსხვავებულ სიტუაციებში, ავტომობილის ტექნიკური მომსახურების შესახებ წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია კოლეგებთან, პარტნიორებთან და კლიენტებთან, მათ შორის, უცხოურ ენაზეც. ეფექტიანად იყენებს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამებს.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს სხვადასხვა მარკის კონსტრუქციები და ტექნიკური თავისებურებები; განსაზღვროს კარიერული წინსვლის პერსპექტივები და შესაბამისად დაგეგმოს საკუთარი სწავლა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდება კლიენტების მოთხოვნებს. ნებისმიერ სიტუაციაში კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.